

სცენოგრაფია როგორც წარმოდგენის სივრცითი გადაწყვეტა
(აქტუალური პრობლემის გადატანა სცენაზე სცენოგრაფიის
მეშვეობით)

ნინო ხართიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სცენოგრაფიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ხეთაგური, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ხართიშვილი, 06.07.2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სცენოგრაფიის მნიშვნელობის, მისი არსის, მიზნისა და ამ მიზნის მისაღწევად საჭირო მეთოდებისა თუ ხერხების კვლევა-ძიებას. ზოგადად სცენოგრაფიის ისტორიის, მისი შექმნის მეთოდებსა და ამ სფეროში მოღვაწე პროფესიონალების მიერ გამოხატულ მოსაზრებებზე დაყრდნობით ვახდენ გარკვეულ ანალიზს და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ვაკეთებ გარკვეულ შეჯამება-დასკვნას დრამატული თეატრის სცენოგრაფიის როლსა და მის მიზანზე და ამ შემოქმედებითი კვლევა-ძიებისგან მიღებული ინფორმაციისა და გარკვეული პრაქტიკული გამოცდილების შედეგად ვამუშავებ სადიპლომოდ შერჩეულ პიესას და ტექსტის სივრცეში გადატანას დღეს არსებული სცენოგრაფიული ხერხების, მეთოდებისა და მიდგომების გათვალისწინებით ვახდენ. საბოლოოდ ვიმედოვნებ, რომ ჩემს მიერ შესრულებული თეორიულ-პრაქტიკული ნამუშევარი გასაგებად და ზუსტად გადმოსცემს სცენოგრაფიის ხელოვნების მნიშვნელობას და დატვირთვას თანამედროვე დრამატული თეატრის ჭრილში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სცენოგრაფია, თეატრი, სცენა, გაფორმება.